დაბანეთ იგი სამჯერ, ან ხუთჯერ, ან უფრო მეტჯერ, თუ საჭიროდ ჩათვლით, წყლითა და სიდრით (ლოტოსის ფოთლებით), ხოლო ბოლოს დაამატეთ ქაფური — ან ცოტაოდენი ქაფური (არომატული საპონი). როცა დაამთავრებთ, შემატყობინეთ

უმმ 'ატიასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: (როდესაც) შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთ-ერთი ქალიშვილი გარდაიცვალა, ის გამოვიდა და თქვა: «დაბანეთ იგი სამჯერ, ან ხუთჯერ, ან უფრო მეტჯერ, თუ საჭიროდ ჩათვლით, წყლითა და სიდრით (ლოტოსის ფოთლებით), ხოლო ბოლოს დაამატეთ ქაფური — ან ცოტაოდენი ქაფური (არომატული საპონი). როცა დაამთავრებთ, შემატყობინეთ». თქვა: როცა დავამთარეთ, ვაცნობეთ მას, მან(მოციქულმა) თავისი მოსასხამი მოგვცა და თქვა: «ჯერ ამაში შეახვიეთ ის». თქვა (უმმ 'ატიამ): და ჩვენ მისი თმა სამ ნაწნავად შევკარით.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

როცა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ქალიშივილი ზაინაბი გარდაიცვალა, შუამავალი მივიდა იმ ქალებთან, ვისაც მისი რიტუალური განბანვა უნდა შეესრულებინა და უთხრა მათ: განბანეთ ის სიდრის ფოთლებიანი წყლით სამჯერ, ან ხუთჯერ, ან უფრო მეტჯერ თუ ამის საჭიროება იქნება, ბოლო დაბანის დროს გამოიყენეთ ქაფური (სურნელოვანი საპონი), და როცა მორჩებით დაბანას გამაგებინეთ. როდესაც დაამთავრეს მისი განბანვა, შეატყობინმეს, და მან თავისი მოსასხამი მიაწოდა და უთხრა: შეახვიეთ ჯერ მასში, ეს იყოს პირველი შესამოსი მისთვის. შემდეგ მას თმები სამ ნაწნავად შეუკრეს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/1751